

შეტანილი ცვლილებები:

1. ცესკოს 2013 წლის 21 აგვისტოს №252/2013 განკარგულება;
2. ცესკოს 2014 წლის 16 აპრილის №56/2014 განკარგულება;
3. ცესკოს 2015 წლის 17 ივნისის №86/2015 განკარგულება;
4. ცესკოს 2017 წლის 21 აგვისტოს №102/2017 განკარგულება;



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
განკარგულება №75/2012

პენიტენციურ დაწესებულებაში ხმის მიცემის უფლების მქონე
ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ინფორმირების პროცედურისა და წესის
განსაზღვრის შესახებ (ცესკოს 2015 წლის 17 ივნისი №86/2015 განკარგულება)

ქ. თბილისი

2012 წლის 13 ივლისი

„საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ”დ“ ქვეპუნქტისა და 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც ხმის მიცემის უფლების მქონე ბრალდებულები/მსჯავრდებულები არიან მოთავსებულნი, დადგინდეს ინფორმირების შემდეგი პროცედურა და წესი:

1. განხორციელდეს ინფორმირება:

ა) არჩევნებში მონაწილე პარტიების/საარჩევნო ბლოკებისა და მათ მიერ პარტიულ სიებში წარდგენილ კანდიდატთა შესახებ (რიგითი ნომრებისა და პარტიული სიების შემადგენლობა);

ბ) არჩევნებში მონაწილე საინიციატივო ჯგუფებისა და პარტიების/საარჩევნო ბლოკების მიერ წარდგენილი მაჟორიტარი კანდიდატების შესახებ (მათი რიგითი ნომრები და წარმდგენი სუბიექტები);

გ) არჩევნებში მონაწილე საინიციატივო ჯგუფებისა და პარტიების მიერ წარდგენილი პრეზიდენტობის კანდიდატების შესახებ (მათი რიგითი ნომრები და წარმდგენი სუბიექტები);

დ) არჩევნებში მონაწილე პარტიების/საარჩევნო ბლოკებისა და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი თვითმმართველი ქალაქების/თემების მერობის კანდიდატების შესახებ (მათი რიგითი ნომრები და წარმდგენი სუბიექტები). *(ცესკოს 2017 წლის 21 აგვისტოს №102/2017 განკარგულება)*

ე) კენჭისყრის დღის პროცედურებთან დაკავშირებით ბუკლეტებისა და ფლაიერების საშუალებით (კენჭისყრის ფარულობა, ბიულეტენების შევსების წესი, ხმის მიცემის წესი).

2. განთავსდეს პირველ პუნქტში აღნიშნული საარჩევნო სუბიექტების ბეჭდვითი სააგიტაციო მასალები/საარჩევნო პლაკატები, საარჩევნო პროგრამები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3. ამავე მუხლის პირველი - მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებები განხორციელდეს არაუადრეს კენჭისყრამდე მე-8 დღიდან არაუგვიანეს კენჭისყრის წინა დღის ჩათვლით. *(ცესკოს 2015 წლის 17 ივნისი №86/2015 განკარგულება)*

მუხლი 2. ამ განკარგულების პირველი მუხლით დადგენილი პირობების შესასრულებლად პენიტენციურ დაწესებულებათა ადმინისტრაციებმა, სადაც ხმის მიცემის უფლების მქონე ბრალდებულები/მსჯავრდებულები არიან მოთავსებულნი:

1. კენჭისყრამდე 8 დღით ადრე უნდა გამოიყონ ადგილები ფლაიერების/ბუკლეტების/ბეჭდვითი სააგიტაციო მასალების განსათავსებლად.

2. ადგილები უნდა იყოს გამოყოფილი იმდაგვარად, რომ ყველა საარჩევნო სუბიექტს ჰქონდეს თანაბარი პირობები. კერძოდ - არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე თითოეული პარტიისა და საარჩევნო ბლოკისათვის უნდა გამოიყოს ადგილები თითო ცალი A3 და A4 ზომის ფორმატის სააგიტაციო მასალის განსათავსებლად, ხოლო თითოეული მაჟორიტარი/მერობის კანდიდატისათვის - ერთი ცალი A3 ზომის ფორმატის სააგიტაციო მასალის განსათავსებლად. ხოლო არჩევნებში მონაწილე პრეზიდენტობის კანდიდატისათვის უნდა გამოიყოს თითო ცალი A3 და A4 ფორმატის სააგიტაციო მასალის განსათავსებლად. ასევე, გამოყოფილი ადგილები უნდა უზრუნველყოფდეს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას საარჩევნო უფლების მქონე ყველა ბრალდებულის/მსჯავრდებულისათვის. *(ცესკოს 2015 წლის 17 ივნისი №86/2015 განკარგულება; ცესკოს 2017 წლის 21 აგვისტოს №102/2017 განკარგულება)*

მუხლი 3. პენიტენციურ დაწესებულებაში საარჩევნო სუბიექტებს ამ განკარგულებით გათვალისწინებული მასალებისა და ინფორმაციის განთავსება შეუძლიათ ამ დაწესებულებებში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიებზე ხსენებული მასალების

კენჭისყრამდე არაუადრეს მე-8 დღიდან გადაცემის გზით. პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც გაიხსნება საარჩევნო უბანი, შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას დაეკისრება პასუხისმგებლობა მათთვის გადაცემული ბუკლეტების/ფლაერების/ბეჭდვითი სააგიტაციო მასალების განთავსებაზე. *(ცესკოს 2015 წლის 17 ივნისი №86/2015 განკარგულება)*

მუხლი 4. პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც საარჩევნო უბანი არ გაიხსნება, ბეჭდვითი მასალების/ინფორმაციის განთავსება შესაძლებელია საარჩევნო სუბიექტების მიერ შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიებში კენჭისყრამდე არაუადრეს მე-8 დღიდან წარდგენის გზით, რომელთა წარდგენიდან არაუგვიანეს 2 დღისა, შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე/მის მიერ უფლებამოსილი პირი, პირადად განათავსებს მათ პენიტენციურ დაწესებულებაში გამოყოფილ ადგილებს ან/და სტენდებზე. საოლქო საარჩევნო კომისიებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა მათთვის გადაცემული მასალების გამოყოფილ ადგილებზე განთავსებისათვის. *(ცესკოს 2015 წლის 17 ივნისი №86/2015 განკარგულება)*

მუხლი 5. კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-10 დღისა, პენიტენციური დაწესებულებების ადმინისტრაციების მიერ ამ განკარგულების შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით, იქმნება მონიტორინგის ჯგუფი. ჯგუფის შემადგენლობა და მისი უფლებამოსილებანი განისაზღვრება ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით. *(ცესკოს 2015 წლის 17 ივნისი №86/2015 განკარგულება)*

მუხლი 6. პენიტენციური დაწესებულებების ადმინისტრაციები ვალდებული არიან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებითა და დაცვით, ამ განკარგულებით მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, დაუშვან მათ მიერ დაქვემდებარებულ დაწესებულებებში, შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეები/წევრები/მონიტორინგის ჯგუფის წევრები. *(ცესკოს 2015 წლის 17 ივნისი №86/2015 განკარგულება)*

მუხლი 7. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს (ქ. დანგაძე) ამ განკარგულების გამოქვეყნება ცესკოს ვებ-გვერდზე, საზოგადოების ინფორმირების მიზნით.

მუხლი 8. დაევალოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (ლ. ველიძე) ამ განკარგულების საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსათვის გადაგზავნა.

მუხლი 9. დაევალოს საორგანიზაციო დეპარტამენტს (გ. სეხნიაშვილი) ამ განკარგულების შესაბამის საოლქო და შემდგომ საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის გადაცემა, მისი შესრულების მიზნით.

მუხლი 10. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 11. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

ზურაბ ხარატიშვილი

კომისიის მდივანი

გიზო მჭედლიძე